



# მსდარი არჩევანი, თუ დიპლომატიური უსუსურობა

ავვისტოს დასაწყისში დატრიალებულ მოვლენებს მემატყანე გვერდს ვერ აუვლის: „ცხელი თავების“ მიერ მიტეხულმა უნიათო და გაუაზრებელმა გადაწყვეტილებებმა „უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“, მსოფლიო პოლიტიკურ რუქაზე ორი დე-ფაქტო „ღამოუკიდებელი რესპუბლიკა“ გაჩნდა, მკერდმოჭრილი ამორძალივით დარჩა მრავალგზის ჭირნახული დედა საქართველო.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ახალ მსოფლიო წესრიგს დაედო სათავე. დიახ, გლობალური ომის საფრთხე საავდროდ შეკრებილ ღრუბელივით დაეკიდა ცის კაბადონზე: თუ დღეს (პირდაპირი გაგებით), ქვემეხები მიყურდა, გაღებული მსხვერპლი, გაშიშვლებული, ძარღვებამდე დასული დაპირისპირება არანაკლებ ზიანს მოასწავებს, ვიდრე ამ კონფლიქტში აფეთქებულმა ჭურვებმა უნია საქართველოს.

თითქმის წარმოუდგენელია, რომ რუსეთმა თავისი გადაწყვეტილება შეცვალოს. ასევე, გადაჭარბებულია მისი იზოლაციაში მოქცევის გზით სასურველი შედეგის მოლოდინიც. საკამათო არ არის, რომ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის დღეს არსებული ხარისხი უდიდესი რესურსების მქონე ქვეყანას ანგარიშგასანევი ლიდერის იმუნიტეტს ხანგრძლივად შეუნარჩუნებს - რუსეთის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია და ის სხვა დანარჩენ ქვეყნებს (განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებს) უფრო სჭირდება ირანის, პაკისტანის, აგრეთვე, სხვა ფეთქებადი რეგიონების პრობლემების მოსაწესრიგებლად. საყურადღებოა რუსეთთან ჩინეთისა და ინდოეთის დამოკიდებულება. ამდენად, მისი როლისა და ადგილის დაკნინება მხოლოდ

ნაკლებად ეფექტური თვითდამშვიდების ცდაა.

ილუზიებით არ უნდა ვიკვებოთ: რუსეთის ეკონომიკურად დასუსტება (თუ გნებავთ, მისი დაშლა შემადგენელ ნაწილებად), დანარჩენ მსოფლიოს სიკეთეს არ მოუტანს. ჯერ ერთი, ეს ხანგრძლივი გლობალური ომის გარეშე არ მოხდება, მეორეც, აქედან გამომდინარე, კატასტროფული შედეგები ისე აისახება ისედაც შერყეულ მსოფლიო ეკონომიკაზე, რომ ბევრად დამანგრეველ შედეგს მივიღებთ.

ექსპერტთა შეფასებით, ომის წარმოების ერთი დღე რუსეთს ორმილიარდნახევარი რუბლი უფლებოდა, საქართველოს ბიუჯეტს კი - 280 მილიონი ლარი, ამასთან, დათვლილია მხოლოდ ის პირდაპირი მატერიალური ხარჯები, რომლებიც საზოგადოდ აღიარებულ გაანგარიშების მეთოდის ექვემდებარება (ვთქვათ, საბრძოლო თვითმფრინავების აფრენა-დაშვება, ტანკებისა და ბრონირებული ტრანსპორტის სადღეღამისო მოხმარება, სანავის ხარჯი და ა.შ.), ხოლო მთლიანად, ან ნაწილობრივ განადგურებული ტექნიკის, ინფრასტრუქტურის ობიექტებისა თუ სხვა მატერიალურ ფასეულობათა საერთო ღირებულება, ცხადია, ბევრად მეტია. ადამიანთა მსხვერპლს კი ხარჯს ვერ მიათვლი და მის ოდენობას ვერც ერთი კრიტერიუმით ვერ განსაზღვრავ.

ამაზრზენია (უფრო მკრეხელობა), როცა ომის მასშტაბებს დაღუპულების რაოდენობით აფასებენ.

ახალი ომი უფრო ძვირი დაჯდება.

მართალია, ქვემეხები დროებით მიყურდა, მაგრამ წინ უფრო ხანგრძლივი და საშიში ბრძოლა გველოდება - გარდაუვალია ეთნოკონფლიქტების, სოციალური დაძაბულობისა და სამოქალაქო თუ პოლიტიკური დაპირისპირების შემდგომი ესკალაცია ევრაზიის სივრცეში. დაიწყოს და არ დასრულდება დაშლის, დაყოფის პროცესი რუსეთში, კავკასიაში, მოლდოვეთში. უკრაინა არეულობის პირასაა. რუსეთის საშინაო ავტორიტარული და საგარეო აგრესიული პოლიტიკა, ნავთობისა და გაზის (რესურსების) გამოყენება პრობლემათა გადაწყვეტის იარაღად, მიმდინარე პროცესებს ხანგრძლივს და კიდევ უფრო დრამატულს გახდის.

ომი პრობლემების გადაწყვეტის ყველაზე სუსტი ხერხია. ბევრად უფრო რთულია საერთოდ განერიდო მას, ან მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკებებითა და შეთანხმებებით დაიყოლიო მონინაალმდევე. ეს მხოლოდ სიბრძნით დაუნჯებულებს ძალუძთ. საგულისხმოა ისიც, რომ ომი სხვა თანმდევი უბედურებებთან ერთად, უმალ გამოკვეთს სიბინძურეს, თავის ადგილს მიუჩენს მტყუანს და მარ-



იური პაპასქია

ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი



**თაღს.** ამჯერადაც, ტყვიის პირველივე საბედისწერო გასროლიდან ბევრი სისუსტე, ვერაგობა და უნიათობა გამომჩეურდა. იყო თავდადებაც...

ვაგლახ, რომ 21-ე საუკუნეშიც ასეთია გამორჩეულად ჩვენი და საერთოდ, ადამის მოდემის ხვედრი ფიზიკურ სამყაროში.

დრო, ძალიან ბევრს (რაც აქამდე არ იყო ცნობილი), ნათელს გახდის, ჩამოეხსნება ნილაბი ორგულს და ორპირს, გამოჩნდება თეთრიც და შავიც. მეისტორიე უთუოდ იტყვის ვინ წამოიწყო, ვინ ვის დაასწრო და ვინ დარჩა გაბითურებული. მოგებული კი, ამ ომს (არც ერთს სხვასაც) წამდვილად არა ჰყავს.

**ყველა ომი უხემ შეცდომათა ერთგვარი კატალოგია.** როგორც ჩანს, ამ კატალოგში ომის წამოწყებით არ ჩაუხედავთ. სავარაუდოდ, ეს ასეცაა, რადგან ომთა ისტორიიდან მრავალგზის დასტურქმნილია, რომ ბრძენთა თათბირს მონყვეტილი საყმანვილო სენმოუხდელი ჭაბუკნი საბედისწერო კლაკნილებში უფრო ხშირად იხლართებიან.

ღიახ, ამ ომშიც ჭარბადაა უპატივებელი შეცდომა - გაღმაც და გამოღმაც ჩამცხრალ ნალვერდალს უხვად აყარეს გამხმარი ფიჩხი, არც ნავთის მისხმა დაუკლიათ და სულიც შეუბერეს ხანძრის გაჩაღებამდე.

**ჩაგითრევენ, თუ სხვისი იმედით შეგულიანებული შენით ჩაერთვები, ომი შეცდომაა. თუმცა, ეს ომი აგვისტომდე დიდი ხნით ადრე დაიწყო და არც არასოდეს შეწყვეტილა.** ომი, როგორც ასეთი (ფართო გაგებით), ორი საუკუნეა რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარეობს და კვლავაც დიდხანს არ დასრულდება.

**ომი უუნარო პოლიტიკის გაგრძელებაა და იგი უგუნურ პოლიტიკოსთა თავში მნიფდება.** სამწუხაროდ, პოლიტიკოსთა ამბიციებს აურაცხელი ადამიანური და მატერიალური მსხვერპლი მოსდევს. მშვიდობიანი მოსახლეობის ზურგზე გადადის ომის მთელი სიმძიმეც...

ზოგიერთი გვიკიჟინებს, რომ ახლა მიზეზ-შედეგების გარკვევის დრო არ არის, მტერს უნდა დავანახოთ, რომ როგორც არასდროს, დღეს ერთიანი ვართ, ურყევი

**რწმენა და პოზიცია გაგვაჩნია, ახლამთავარია აგრესიის განგანვთავისუფლდეთ. აქედან გამომდინარე, ათასგვარი ხერხებით იქმნება მტრის ხატი და ამ ფანდს ერის შემაკავშირებელ იარაღად იყენებენ - იხლართება ახალი კონსპირაციული გეგმა და ამამიც საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფის მუხტებითა ჩამარხული. მეტიც, ლიმიტირებული პლურალიზმის პირობებში, სასურველს ახდენილად წარმოგიდგენენ და შენ ეს ზუსტად ასევე უნდა ირწმუნო. თუ არა და... მოლაღატედ შეგრაცხავენ, მტრულად განწყობილი ქვეყნის სპეცსამსახურების აგენტის იარლიყი ხომ გარანტირებული გაქვს!**

**მიმაჩნია, რომ ასეთ მიდგომაში პატრიოტული, მით უმეტეს, ქვეყნის გადარჩენისკენ მიმართული არაფერია. ის მხოლოდ PR-კამპანიის სცენარისტთა დანაშაულებრივი ქმედების მიჩქმალვას და ხელმწიფობის ვადის გახანგრძლივებას ემსახურება.**

ჩვენ გადავწყვიტეთ, ამ თემაზე გავხსნათ დისკუსია. მკითხველს ამავე ნომერში საყურადღებო მოსაზრებას ვთავაზობთ. ჟურნალის პოზიცია მყარი და გამოკვეთილია. ვფიქრობ, მიზეზ-შედეგის გარკვევა არა თუ გადავდოთ, დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ და მივიპყროთ მათი ყურადღება, ვისაც სწორი გადანყვეტილების ვალდებულება აკისრია. სხვანაირად, ახალმა შეცდომებმა შეიძლება ერთიანად წაგვეუკოს.

ახლობელს რომ უთხრა, ამავეებს,

ამასთან, არგუმენტებიც მოუყვანო - რაშიც ცდება, ეს წამდვილად არაა ლალატი, პირიქით, თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობაა.

**რას ველოდით, რა მივიღით?**

საბოლოო დასკვნების გაკეთება მართლაც ნაადრევია. დროთა განმავლობაში ისეთი ფაქტები შეიძლება გახდეს საჯარო, რაც უკვე განცდილს უფრო დრამატულს გახდის. თუმცა აქედანვე შეიძლება ისეთი ვთქვათ, რომლებსაც ახლად გახსნილი გარემოებები ვერ შეცვლის. ცხადია, ქვემოთ წარმოდგენილ ჩემს მოსაზრებებს არა აქვს სრული ჭეშმარიტების პრეტენზია.

ღიად შეიძლება დავაფიქსიროთ: **ჩვენ შევცდით არჩევანში**, როცა ხელისუფლება სრულიად გამოუცდელ, ახალგაზრდებს ვანდეთ.

მეპირადად ეჭვიც არ მეპარება, რომ საქართველო სულ სხვა პულტიდან იმართება. ჩვენი არჩევანი კი მათ ნება-სურვილს კარგად მორჩილობს. საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობასა და სატრანზიტო კორიდორის ფუნქციაში ძირითადად რუსეთისა და ამერიკის ინტერესები იკვეთება - აქ დაპირისპირებულ მხარეებს ეს ორი მონსტრი წარმოადგენს. ხან ერთი ასწრებს და თავის საქმეს აკეთებინებს საქართველოს ხელისუფლებას, ხან - მეორე. ხოლო როცა დაპირისპირების შედეგი ტრაგიკულამდე მიდის, მსოფლიო საზოგადოება **აღშფოთებას** ვერ მაღავეს და აგრესორის ქცევას გულწრფე-





ლად დაგმობს. ოღონდ ამ ფარგლებს მათი ჩარევა ველარ გასცილდება - დემოკრატიის სტანდარტი უფრო შორს ვერ მიდის.

ბუში იქნება თუ ამერიკის სხვა პრეზიდენტი, ოკეანესგალმელთა დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არ შეიცვლება, არც იმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საქართველოში ამჟამინდელი ხელისუფლება დარჩება თუ მას სხვა ჩანაცვლებს — შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ყოველთვის შეეცდება დაიცვას აქ თავისი მუდმივი სტრატეგიული ინტერესები. არც რუსეთი დათმობს თავისთვის „საკბილოს“. ამჟამად ჩვენ ამ დაპირისპირებაში მხოლოდ ხელშემწყობ როლს ვასრულებთ ორივე მხარისთვის. მეტიც, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის უფრო რაციონალურად გამოყენების ნიჭიც დავკარგეთ. ჩვენც დავიჯერეთ და სინამდვილეში კი გულზე მჯიღის ცემა, თანადგომის გამოხატვაში შეჯიბრი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატთა ლამის წინასაარჩევნო მარათონის მთავარ ნაწილად იქცა, რუსეთის პრეზიდენტმა და პრემიერმა ხალხის უფრო მეტი მხარდაჭერა მოიპოვა, ამერიკასთანაც სტრატეგიულ საკითხებზე დიალოგისთვის ნიადაგი მოიმზადა... სანაცვლოდ კანფეტებს ჩამოგვირიგებენ, პამპერსებს და ტამპონებს ჩამოგვიტანენ, ტურისტის საგზაოს და წყალს მოგვანვდიან, იარაღს, ტანკებს, თვითმფრინავებს, სამხედრო ფორმებს უფასოდ მოგვცემენ, დაბალპროცენტუან საკრედიტო ხაზს

გაგვიხსნიან, ტექნიკურ კრედიტს თავიანთ მუშახელს და ინსტრუქტორებს ჩამოაყოლებენ... და რაც არ უნდა მწარედ მოსასმენი გაგვიხდეს, ერთგულად გვაძმასურებენ საკუთარი მიზნების უზრუნველსაყოფად.

**ჩვენ შეეცდით სხვა არჩევანშიც,** როცა ნატოსკენ სწრაფვა ხმამაღლა განვაცხადეთ და მზადების ყველა ნვრილმანი ბუდარხას ძროხის რძესავით საქვეყნოდ ვატრიალეთ სხვის დასანახად და გულის გასახეთქად. კონფლიქტის მოგვარების ყველა გზა კუნთებზე ყურებასა და იარაღის ჟღარუნს მივავით. პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა აფხაზი და ოსი ხალხის საქართველოსკენ მობრუნებისთვის. მეტიც, რაც სახალხო დიპლომატიამ რუდუნებით აღადგინა, ერთმა უხეშმა ჩარევამ ძირამდე ჩამოშალა;

ნატო არ იომებს საქართველოს ტერიტორიების დასაბრუნებლად (ეს თავად **იაზ დე ჰოოპ სხეფერმაც** განაცხადა), რუსეთთან ომს არც ევროკავშირი აპირებს და საერთოდ, არავინ არ გამოგზავნის ჯარისკაცებს საქართველოს მთლიანობის აღსადგენად. დამკვირვებლების მისიას — კი, ბატონო და ეს იქნება მაქსიმუმი.

**„ახალ სამხედრო აგრესიას რუსეთი არ დაუშვებს“**- დამაჯერებლად აცხადებს **მედვედევი** და ახალი მსოფლიო მას ომით ვერ უპასუხებს (ისევ და ისევ თავისი კეთილდღეობის გამო). რუსეთის სრული იზოლაცია გარე სამყაროსთან, პრაქტიკულად შეუძლებელია.

გარდასულ დღეთა ქრონიკამ კი

დევერთხელ ცხადყო, რომ **ამ ხელისუფლებას დიპლომატიის ანბანი არც ერთ ენაზე, არც ერთ უცხოურ უნივერსიტეტსა თუ კურსებზე არ უსწავლია.** სამაგიეროდ კარგად გამოსდის ლანძღვა-გინება, „ცხვირში ამოდენის“ მუქარა, საპროტესტო მანიფესტაციისა და ცოცხალი ჯაჭვის ორგანიზება. თუმცა ამით ომს ნამდვილად ვერ მოიგებ და ვერც განაწყენებულს მოულობ გულს.

უდაოა, ისიც რომ ამ გუნდს წინამორბედისგან განსხვავებით ორგანიზაციის ნიჭი მართლაც აღმოაჩნდა, სხვათაშორის იმისიც, დღენიადაგ იმეოროს: **ყველაფერი კარგად მიდის და ცოტა დავგრჩა საბოლოო გამარჯვებამდეო.** თუმცა, რომელ გამარჯვებაზეა ლაპარაკი, როცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების (იგივე რუსეთის) მიერ ომამდე კონტროლირებადი ტერიტორიების გარდა, დავკარგეთ ახალგორის რაიონი, დიდი და პატარა ლიახვის, აგრეთვე, ფრონეს ხეობათა ქართული სოფლები, „ზემო აფხაზეთი“-კოდორის ხეობა, გარდა ამისა, რუსებმა 30-კილომეტრიანი საკონტროლო ზონაც მიიღეს ფეშქაშად.

პრაქტიკულად, აღარ არსებობს გორისა და სენაკის სამხედრო ბაზები, გაძარცვულია და გაპარტახებულია სამხედრო ქონება, მწყობრიდანაა გამოსული აეროდრომების ქსელი, სარადრო სისტემა, სამხედრო-საზღვაო ფლოტი, საერთოდ მოისპო ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზა, განადგურდა გორში სამხედრო ბაზისა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, აფეთქდა ხიდები, დაინვა ტყის მასივები, მოისრა ნადირ-ფრინველი, საქართველომ კაპიტულაცია გამოაცხადა და **ყოველივე ამას გამარჯვება ჰქვია?**

ომმა აჩვენა, რომ ჩვენს ჯარს აკლია ორგანიზებულობა, არ ჰყავს მთავარსარდალი, არ გააჩნია რეალობის შეგრძნება (ცხადია, არ მაქვს მხედველობაში, პირადი მამაცობის მაგალითები). მე ვერ ვიკისრებ სამხედრო ექსპერტის მისიას, ამ სფეროში ძალიან ბევრი კითხვაა, მხოლოდ ერთ-ორ ასპექტს შევებები განსჯისათვის.

ქვეყნის ხელმძღვანელობას უნდა სცოდნოდა, რომ ცხინვალის ირგვლივ სამხედრო ძალების კონცენტრაცია და გახშირებული პროვოკაციები რუსეთთან ომს და მაშასადამე, კატასტროფას მოასწავებდა. რუსეთის ინტერესებში შედიოდა ნებისმიერი ხერხით შეეტყუა ჩვენი სამხედრო ძალა ცხინვალში და საქართველოში შემოსვლის (ოკუპაციის) რაიმე საბაზი მიეღო. ამისთვის ხანგრძლივად, მოთმინებით ელოდა ხელსაყრელ მომენტს. რა, ჩვენს მზვერავებს ობიექტივები გაეყინათ და ლიბრი გადაეფარათ თვალებზე, ვერ შენიშნეს როკის გვირაბთან ჩასაფრებული რუსეთის 58-ე არმია (ათასობით ტექნიკა და ჯარისკაცი)?

თუ კი ეს ცნობილი იყო და მაინც გავარდა ტყვია, ამკარაა, სამხედრო დანაშაულთან გვაქვს საქმე. ახლა ირკვევა (ჯონ ტეფტის, კონდოლიზა რაისის და სხვათა განცხადებებიდან), რომ საქართველოს ხელმძღვანელობამ არ შეისმინა ამერიკელების არაერთგზის გაფრთხილება და მაინც შევიდა ცხინვალში...

ერთიც მინდა ვთქვა: თუ მოიქნევ, დაარტყა უნდა კიდევ და ბოლომდე დადგე, არ გამოიქცე, წესია ასეთი. ჯარი სახელმწიფოს იმისთვის ჰყავს, უპირველეს ყოვლისა, მშვიდობიანი მოსახლეობა დაიცვას. ჩვენმა სარდლობამ ჯერ ცეცხლი გახსნა და მერე იქიდან ისე მოკურცხლა, ტრანსპორტს გამოასწრო, ხალხი კი შურისძიებით აღვსილ მტერს შეატოვა საჯიჯგნად. ჯარი გააქციეს კოდორის ხეობიდან, სენაკიდან, გორიდან, ტექნიკა, ტყვიანამალი, სხვა სამხედრო ავლა-დიდება კი ხელუხლებელი დაახვედრეს სრულ მზადყოფნაში გასაზიდად. ისე წამოვიდნენ, მოსახლეობა არც გაუფრთხილებიათ. ამის მერე, ზოგს ჰყოფნის თავხედობა განაცხადოს, აბა, ნარჩევ ბიჭებს ხომ ვერ შევაკლავდითო რიცხოზობრივად ბევრად მეტ გადამთიელს.

მილიარდ ლარზე მეტია თავდაცვის ასიგნება საქართველოს სულ რაღაც ხუთმილიარდიანი ბიუჯეტიდან მაშინ, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმაა და საყველპურო შემოსავალიც არა აქვს. ეს საეჭვოდ დიდი ციფრია.

ზოგადად აღიარებული პრინციპების თანახმად, ქვეყნის ბიუჯეტიდან სამხედრო ხარჯები 5%-ს არ უნდა აჭარბებდეს (ნიშნავს, რომ ქვეყანა არადემოკრატიულია და მილიტარისტულ გზას ადგას). როგორც ჩანს, ჩვენთან გაცილებით მეტი იხარჯება და მეტიც ნიავდება.

**ნათქვამია, ომი ყველაფერს ჩამონერს...**

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ეპოქაში, სამხედრო ხარჯების ფინანსური შემონეშება ტაბუდადებულია. საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი ხარჯების ეფექტურობის შემონეშებაზე (კონტროლის ასეთი ხარისხი ჯერაც უცხოა ჩვენს პრაქტიკაში). არის ეჭვი, რომ სამხედრო ხარჯების პრიორიტეტული ზრდა, გასაიდუმლოებული ბიუჯეტი და ასე უმოწყალოდ მიტოვებული (განიავეებული) სამხედრო ქონება ურთიერთკავშირშია და არაა ამორიცხული წინასწარ გამიზნული, ფარულ გარიგებათა და მოქმედებათა შედეგი იყოს.

ომი ხომ ყველა ნაკვალევს ნაშლის...

რამდენიც გნებავთ იმდენია ფაქტი, რომლებსაც არანაირი გამართლება აქვს და მაინც ყურით მოთრეული არგუმენტი მოჰყავს ზოგიერთს, თითქოსდა სხვა „სიკეთესთან“ ერთად ამ **ომმა რუსეთის ნამდვილი სახე დაგვანახაო.**

მე რომ მკითხოთ, რაც მოხდა, არ ღირდა იმად, ამ გზით მსოფლიოს ყურადღება მიგვექცია, **„ნიღაბი ჩამოგვეხსნა“** იმპერიული ძალისათვის. მსოფლიომ ისედაც იცის **„ისტორიის გაკვეთილები“**. თუ ახლა ვსწავლობთ ამ **„საშინაო დავალებას“**, აქამდე ბეჯითად რომ უნდა გვესწავლა და ვატარებთ ექსპერიმენტებს, რომელსაც ადამიანური და მატერიალური მსხვერპლი მოაქვს, ეს კიდევ ერთი დანაშაულია!

როცა ცხინვალში საომარი მოქმედების დაწყებას კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას არქმევ, იმას ნიშნავს, რომ ვერ ხვდები ამას რა შედეგი მოსდევს. უთუოდ აჯობებდა ხმამაღლა გვეყვირა, მტერმა საზღვარი გადმოლახა და საკუთარი ხალხი, ქვეყნის მთლიანობა უნდა დაგვეცვაო. უფრო მომგებიანი იქნებოდა რუსის არმია ყოველგვარი

წინააღმდეგობის გარეშე შემოსულიყო. მეტი მანსი გვექნებოდა მათი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან გასაყვანად.

ცხინვალში „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას“ ერთი სპეცდანიშნულების ბრიგადაც მოახერხებდა და არ იყო საჭირო საერთო მობილიზაციის გამოცხადება თუ კი იქნებოდა მყარი გარანტია, რომ ამ ოპერაციაში რუსეთი არ ჩაერეოდა, თუმცა ეს პრაქტიკულად ამორიცხებული იყო.

ყველა შემთხვევაში, უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ სამხედრო ოპერაციისთვის არ იყო სწორად გააზრებული დრო, მოქმედებები და მოსალოდნელი შედეგები, რაც მთავარია, მიღებულ იქნა არასწორი გადანყვეტილება, რომლის გამოც რუსეთთან ომში სასტიკად დავმარცხდით.

ჩვენმა ხელისუფლებამ ისიც ვერ მოახერხა, რომ **სარკოზ-მედვედევის შეთანხმებაში საქართველოს ინტერესები დაეცვა**, რომელ ინტერესზე (პოზიციაზე) ვსაუბრობთ, დღემდე ვერ გარკვეულა რა წერია მასში. ყველა ნიშნის მიხედვით, ეს შეთანხმება კაპიტულანტურია და საქართველოდან (აფხაზეთიდან, სამხრეთ ოსეთიდან) რუსეთის ჯარის გამოყვანის პერსპექტივასაც არ იძლევა.

ასე, რომ ჩვენს თავს ჩვენვე გამოუტანეთ სასტიკი განაჩენი.

**არის ხსნა ამ მდგომარეობიდან? საკითხავი, აი, ეს არის.**

გამოსავალი ყოველთვის არის, თუ ამის ნება ერს გააჩნია. რა გზით, და რა ფორმით – ეს გამოჩნდება. მთავარია, საამისო წინაპირობა უნდა შეიქმნას. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ **უნდა ვისწავლოთ არჩევანი.**

„დემოკრატიული რეფორმების ახალ ტალღაზე“ მოფარფატე ხელისუფლება ამას ნამდვილად ვერ შეძლებს. ვერც ლელა კაკულისა წინასწარმეტყველების იმედზე გაბრწყინდება საქართველო.

რაც გვჭირს, ფარსმან სპარსის შეგონებას მახსენებს (ჩვენს მდგომარეობას ზუსტად ესადაგება): **„ჯოჯოხეთში ბერები დაუნყვეტიათო და ყვავი დაუნიშნავსო ხუცესად ლმერთს“.**

**შედეგიც აქედანაა, ეს საგულდაგულოდ უნდა დავიხსოვოთ.**